

May 2020

BATUMI HOSPITALITY MARKET

COVID-19

ბათუმის სასტუმროების სექტორი

To gauge the effects of the pandemic on Batumi hospitality sector, our team conducted a survey of hoteliers and hotel operators in Batumi. The survey was conducted in the first week of May and included both branded and non-branded hotels. The response rate was 37% and hotels for the survey were purposively selected.

სასტუმროების სექტორზე ჰანდეშის გავლენის შესაფასებლად, ჩვენმა გუნდმა ბათუმის მასშტაბით სასტუმროების მუპატრონეებისა და ოპერატორების გამოკითხვა ჩატარა. კვლევა ჩატარდა მაისის პირველ კვირაში და მოიცავდა როგორც ბრენდული, ისე არაბრენდული სასტუმროები. განთავსების საშუალებების კვლევაში მონაწილეობის გამომხატურების მაჩვენებელი შეადგენდა 37%-ს. გამოკითხული სასტუმროების იდენტიფიცირება მოხდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით.



BATUMI HOSPITALITY MARKET


BATUMI OVERVIEW

Batumi is one of the most attractive touristic locations on the Black Sea coast. The city skyrocketed to attention once it was renovated, which coupled with the rapid infrastructural growth and addition of a wide variety of hotel brands turned it into a tourist hotspot. Despite the hiccups that the tourism and hospitality sectors in Georgia experienced in 2019, the number of international visitors to Batumi still managed to peak at 1,819,130 (compared to 1,671,170 in 2018). As for domestic tourism, the number of Georgian visitors to Batumi constituted 9.8% (1,401,766) of total domestic visitor - an 8,8 % increase compared to 2018.

ბათუმის მოკლე მიმოხილვა

ბათუმი შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული ადგილია. ქალაქის სწრაფი ტემპით განვითარება, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა, თუ სასტუმროს ბრენდების ფართო არჩევანი, უფრო და უფრო მიმზიდველს ხდიდა მას ტურისტებისთვის. მიუხედავად ტურიზმის სექტორში გარკვეული სირთულეებისა, 2019 წელს ბათუმში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობამ უმაღლეს ისტორიულ ნიშნულს მიღწია. თუკი 2018 წელს ბათუმის უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენდა 1,671,170-ს, 2019 წელს ეს რიცხვი 1,819,130-მდე გაიზარდა. რაც შეეხება შიდა ტურიზმს, დასვენებისა და გართობის მიზნით, გასულ წელს საქართველოს მოსახლეობის 9,8% (1,401,766) ესტუმრა ბათუმს, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით (1,278,784 შიდა ტურისტი) 8,8%-იან ზრდას ნიშნავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / National Statistics Office of Georgia



*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / National Statistics Office of Georgia

IMPACT ON THE HOSPITALITY MARKET

Reservations

COVID-19 affected the hospitality market around the country and Batumi is no exception. First case of COVID-19 in the Adjara region was confirmed in Batumi on April 7, 2020. Even though the Adjara region reported first COVID case later than Tbilisi, the overall epidemic situation in the country significantly affected the hotel reservations in Batumi. The first wave of booking cancellations started in the first week of March.


This is the period when we see a sharp increase of COVID cases in Georgia and the neighboring countries. A second wave followed in mid-March which was primarily related to the epidemic situation in the post-Soviet countries.

As of today, 42.9% of the surveyed hotels report cancellations until July while 28.6% do not expect the guests till the 1st of August. Hoteliers are not hopeful either – they expect most of the remaining reservations to also get cancelled in the near future. Unfortunately, 28.6% of the surveyed lodging facilities couldn't maintain any of the reservations.

It should be noted that Batumi hospitality market works in close cooperation with the travel agencies outside the country and the largest share of the reservations come from such entities.

Currently, all the lodging facilities in Batumi that are not repurposed for the quarantine, are shut down. Based on the latest available information there were 232 hotels and hotel type accommodations in Batumi, with total number of beds exceeding 13,200. Today, only 18 hotels are participating in quarantine and therefore keep operating in Batumi, which represents only 8% of the entire Batumi hospitality market.

Cancelations / ჯავშნების გაუქმებები



- Until July
- Until August
- Doesn't Have Any Reservations

გვალენა სასტუმროების სექტორზე

ჯავშნები

Covid-19-ის პანდემიამ ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის სფეროს უდიდესი ზიანი მიაყენა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ბათუმის ტურისტული სექტორი აღმოჩნდა. აჭარის რეგიონში ინფიცირების პირველი შემთხვევა 2020 წლის 7 აპრილს სწორედ ბათუმში დადასტურდა. მოუხედავად იმისა, რომ თბილისისგან განსხვავებით, აჭარის რეგიონში პირველი შემთხვევა აპრილის თვეში გამოვლინდა, ქვეყნის საერთო ეპიდ-სიტუაციამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ბათუმის სასტუმროების ჯავშნებზე.

ჯავშნების გაუქმებების პირველი ტალღა მარტის პირველი კვირიდან დაიწყო. ეს სწორედ ის პერიოდი, როდესაც საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ფიქსირდება COVID ინფიცირების მკვეთრი ზრდა. ამას მოყვა მარტის შუა რიცხვებიდან ჯავშნების მასიური გაუქმება, რაც უკვე უკავშირდება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებულ ეპიდემიურ სიტუაციას.

დღეის მდგომარეობით, გამოკითხული სასტუმროების 42.9%-ს ჯავშნები ივლისის თვემდე აქვს გაუქმებული, ხოლო მათი 28.6% სტუმრებს პირველ აგვისტომდე არ ელოდება. ამ სასტუმროების წარმომადგენელთა ვარაუდით, შესაძლებელია, ანლო მომავალში დარჩენილი ჯავშნების დიდი ნაწილიც გაუქმდეს. სამწუხაროდ, განთავსების საშუალებების 28.6%-მა ვერ შეძლო ვერცერთი ჯავშანის შენარჩუნება.

აღსანიშნავია ის, რომ ბათუმის განთავსების საშუალებების ბაზარი მჭირდოდ თანამშრომლობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ტურისტულ სააგენტოებთან და მათი ჯავშნების უდიდესი წილი სწორედ ასეთი სააგენტოებიდან მოდის.

დღეისათვის ბათუმში დახურულია ყველა ის სასტუმრო, რომელიც არ არის ჩართული საკარანტინო რეჟიმში. ბოლო ინფორმაციით, ქალაქ ბათუმში 2018 წლისათვის ოპერირებდა 232 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება, რომლებშიც ადგილების საერთო რაოდენობა აღემატებოდა 13,200-ს. ამ დროისათვის, საკარანტინო რეჟიმში ჩართულია და შესაბამისად ფუნქციონირებას აგრძელებს 18 სასტუმრო, რაც მთლიანი სექტორის მხოლოდ 8%-ს წარმოადგენს.

GeoStat - 10 March 2020


Forward Pricing Strategy

The survey revealed some interesting points with regard to the pricing strategy for when the lockdown is lifted and the flights are resumed. In contrast to Tbilisi, where one half of hotel representatives do not intend to make any changes in the pricing policy, 86% of the Batumi hoteliers believe that prices will be revised and that the average daily rates (ADR) will be dropped. It is important to note that in contrast to the branded hotels, the guesthouses average much lower ADRs; therefore, the change in their price level will not be as drastic as that of the branded hotels.

სამომავლო საფასე პოლიტიკა

საინტერესო სურათი იხსება სამომავლო საფასე პოლიტიკასთან მიმართებაში. თუკი თბილისის სასტუმროების გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ გეგმავს საფასე პოლიტიკაში ცვლილების შეტანას, ბათუმის განთავსების საშუალებების შემთხვევაში 86%-ს მიაჩნია, რომ საფასე პოლიტიკა აუცილებლად გადაინდება და ოთახის საშუალო ღირებულება დაიკლებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ განსხვავებით ბრენდული სასტუმროებისგან, საოჯახო ტიპის განთავსების საშუალებებში საშუალო ფასი გაცილებით დაბალია; აქედან გამომდინარე, ცვლილება მათ საფასე პოლიტიკაში ვერ იქნება იმდენად მკვეთრი, როგორც ბრენდული სასტუმროების საშუალო ღირებულება (ADR).

Pricing Strategy / სამომავლო საფასე პოლიტიკა



Post-Crisis Plans

Most of the hotels have already started planning a post-crisis sales and marketing strategy. 43% of the hotels participating in the survey are working, or have already developed specific guidelines. Their plans are mainly aimed at maintaining competitiveness on the market, retaining existing reservations and attracting new guests. However, as mentioned before, the primary tool envisioned by the hoteliers as the path to recovery is the pricing strategy. In terms of retention of existing reservations, the hospitality market is also offering special discounts: change dates for later in the season for the same rate as initially reserved.

Those 57% of the hoteliers who haven't started planning the post-crisis strategy yet believe that it is too early to plan any kind of campaign at this stage, as Batumi's touristic market is facing major challenges and it is still unclear what specific steps will be taken both in Georgia and in its partner countries populations of which represent the largest share of the tourist market demand (Russia, Ukraine, Turkey, Israel, Azerbaijan, Armenia and the Middle East Countries).

პოსტ-კრიზისული გეგმები

პოსტ-კრიზისული სიტუაციის დასაძლევად სასტუმროების ნაწილმა უკვე დაიწყო გარკვეული სტრატეგიისა და მარკეტინგული გეგმის შემუშავება. კვლევაში მონაწილე სასტუმროების 43% მუშაობს, ან უკვე შეიმუშავა კონკრეტული სტრატეგია. მათი გეგმები ძირითადად კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაზე, არსებული ჯავშნების შენარჩუნებასა და ახალი სტუმრების მოზიდვისკენ არის მიმართული. თუმცა, ამ სასტუმროების უმეტესობის განცხადებით - და როგორც უკვე აღვნიშნეთ - მათი გეგმის უმთავრესი ნაწილი სწორედ საფასე პოლიტიკის ცვლილებაა. არსებული ჯავშნების შენარჩუნების მხრივაც სექტორის წარმომადგენლები გაკრვეულ შეღავათებს აწესებენ; კონკრეტულად, ისინი ინარჩუნებენ დაბალი სეზონის ფასებს მაღალ სეზონზეც.

იმ 57%-ს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყიათ პოსტ-კრიზისული სტრატეგიის შემუშავება, მიაჩნიათ, რომ ამ ეტაპზე მსგავსი კამპანიის დაგეგმვა ნაადრევია, ვინაიდან, ბათუმის ტურისტული სექტორი დიდი გამოწვევის წინაშეა და გაურკვეველია, რა კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადადგმული როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე იმ პარტნიორ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობაც შეადგენს მათი მოთხოვნის სეგმენტის უდიდეს ნაწილს (რუსეთი, უკრაინა, თურქეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები).



BATUMI HOSPITALITY MARKET

HR Strategy

Position of hotels regarding the staff policy also differs from one another. Part of the currently operating hotels (71%) could maintain the employees fully. As most of the hotels allocated for quarantine are non-branded lodging facilities and/or guesthouses that operate seasonally, their involvement in quarantine has led them to hire new employees. This means that when these hotels end their partnership with the government, they will terminate current contract with temps leading to further unemployment.

HR სტრატეგია

სასტუმროების პოლიტიკა პერსონალთან მიმართებაშიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამ დროისთვის მომუშავე სასტუმროების ნაწილმა (71%-მა) შეძლო თანამშრომლების სრულად შენარჩუნება. გამოდინარე იქედან, რომ კარანტინში მყოფი სასტუმროების უმეტესობა არის არაბდენრული ტიპის განთავსების საშუალება ან საოჯახო ტიპის სასტუმრო, რომლებიც მუშაობენ სეზონურად, სწორედ მათმა კარანტინის რეჟიმში ჩართვამ განაპირობა თანამშრომლების დაქირავება. ეს თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ როდესაც ეს სასტუმროები სახელმწიფოსთან პარტნიორობას დაასრულებენ, მოუწევთ დროებით დაქირავებულ თანამშრომლებთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

HR Strategy / HR სტრატეგია



0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%

■ Could Maintain Full Staff ■ Could Maintain half of Staff

Governmental Support Required


Representatives of the surveyed hotels draw attention to the essential importance of tax exemption in the post-crisis period. The research revealed that the most crucial support from the government would be the reduction, cancelation and/or suspension of VAT, property and income taxes. Support from commercial banks is also extremely important, which means subsidizing loan interest rates over a certain period of time.

On May 7, 2020 the government of Georgia presented the tourism recovery plan, which exempted enterprises that operate off of tourism from the property taxes. Furthermore, payment of income tax accumulated in the first four months of 2020 was postponed for 9 months i.e. till the end of 2020. The recovery plan also provides subsidies for 80% of 6-month loan interest payments for small hotels, as well as an option of loan restructuring.

სახელმწიფო მხარდაჭერა

გამოკითხული სასტუმროების წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ პოსტ-კრიზისულ პერიოდში გადასახადებისგან გათავისუფლების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგათი სასტუმროების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად სწორედ დამატებითი ღირებულების, ქონების და სამემოსავლო გადასახადის შემცირება, გაუქმება ან/და გადავადება იქნებოდა. მნიშვნელოვანია ასევე საბანკო შეღავათები, რაც გულისხმობს სესხის პროცენტის სუბსიდირებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

2020 წლის 7 მაისს საქართველოს მთარობამ წარადგინა ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. გეგმის ფარგლებში მთავრობამ ტურისტული საწარმოები გათავისუფლა ქონების გადასახადისგან. ასევე 9 თვით, 2020 წლის ბოლომდე გადავადდა სამემოსავლო გადასახადი. გეგმა ასევე ითვალისწინებს მცირე სასტუმროებისათვის საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის 80%-ის სუბსიდირებასა და სესხის რესტრუქტურისაგან შესაძლებლობას.



73 construction permits were issued by the Public Hall of Batumi in 2019, allowing for the addition of **158,154 square meters** of lodging space. It is still unclear what fate awaits to planned hotel developments in the city.


2019 წელს ბათუმის მერიის მიერ გაიცა **73 ნებართვა ქალაქში** ახალი სასტუმროს მშენებლობაზე, რამაც მთლიანობაში **158,154 კვადრატული მეტრი** უნდა მოიცვას. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, თუ რა ბედი ელის ქალაქში მიმდინარე და დაგეგმილი სასტუმროების განვითარების პროექტებს.

BATUMI HOSPITALITY MARKET

Batumi International Airport is one of the most important sources of international visitors' inflow to the Adjara region. According to the surveyed hoteliers, the future operation of the hotels mainly depends on the restoration of flights. Batumi International Airport has been becoming more and more active over the years; the number of served passengers has been increasing in cue. If in 2018 the airport served 617,373 passengers by direct or chartered flights, this number increased by 29.3% in 2019 i.e. the airport served 873,616 passengers. As of February 2020, Batumi International Airport operated 20 direct flights a week to four destinations (Istanbul, Kiev, Minsk, and Tel Aviv) through seven airlines (Turkish Airlines, Flex Flights, Yan Air, Belavia, Georgian Airways, Elal, Skyup).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბათუმის აეროპორტი აჭარის რეგიონისთვის წარმოადგენს უცხოელი ტურისტების შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. გამოკითხული სასტუმროების უმეტესობის თქმით, მათი ოპერირება უმთავრესწილად დამოკიდებულია სწორედ ფრენების აღდგენაზე. ბათუმის აეროპორტი ყოველწლიურად უფრო და უფრო აქტიური ხდება; მატულობს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. თუ კი 2018 წელს აეროპორტმა რეგულარული და ჩარტერული რეისებით მიიღო და გადაიყვანა 617,373 მგზავრი, ეს ციფრი 2019 წელს 29.3%-ით გაიზარდა და გასულ წელს ბათუმის აეროპორტი უკვე 873,616 მგზავრს მოემსახურა. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით ბათუმის აეროპორტი ახორციელებდა კვირაში 20 ფრენას 4 მიმართულებით (სტამბოლი, კიევი, მინსკისა და თელავივი) 7 ავიაკომპანიის პირდაპირი რეისებით (Turkish Airlines, Flex Flights, Yan Air, Belavia, Georgian Airways, Elal, Skyup).

Batumi International Airport / ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი



*საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო / Georgian Civil Aviation Agency

SUMMARY

2020 definitely will be dramatic for Batumi Hotels and its tourism and hospitality market in general. Crisis will be hard to weather for both branded and non-brand facilities. The main threats are increased unemployment and closure of smaller and medium-sized hospitality businesses.

Even for the post-pandemic period, the confidence of international travelers is quite low. Despite the Georgian government's readiness to open country's borders on 1st of July and restore international air traffic, it is still unclear which airports flight will be operated from, in what direction and how frequently. Additionally, expected regulations in the aviation sector may limit the number of passengers travelling in a single vessel, which will undercut affordability of some airlines and may reduce demand on traveling to certain destinations. Whether Batumi will be one such destination remains to be seen.

შეჯამება

2020 წელი ბათუმის სასტუმროებისა და ტურისტული ბაზრისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდება. კრიზისთან გამკლავება გაუჭირდებათ როგორც ბრენდულ სასტუმროებს, ასევე არაბრენდულ და მცირე ტიპის განთავსების საშუალებებს. უმუშევრობა ემუქრება ტურიზმის სექტორში მომუშავე როგორც მუდმივ, ასევე დროებით დასაქმებულ მოსახლეობასაც.

პოსტ-პანდემიის პერიოდშიც კი, საერთაშორისო მოგზაურების ნდობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. მიუხედავად საქართველოს მთავრობის მზაობისა, რომ 1-ლი ივლისიდან გაიხსნას საქართველოს საზღვრები და აღდგეს საერთაშორისო საავიაციო მიმოსვლა, ჯერ კიდევ გაურკვეველია რა მიმართულებით, სიხშირით და რომელი აეროპორტებიდან განახორციელება ფრენები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საავიაციო სექტორში დაწესებული რიგი შეზღუდვები, რომელიც ითვალისწინებს მგზავრებს შორის დისტანციის დაცვას, დაკავშირებული იქნება ერთდროულად ნაკლები მგზავრის მომსახურებასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ფრენის საფასური გაზრდას.

Over the last few years Batumi hospitality market has mostly targeted international travelers and less so – the domestic tourists. Our survey shows that the share of Georgians among the hotel guests doesn't exceed 9%. Whether this share will increase is doubtful; despite the border openings, most of the local population will likely prefer to spend their summer in Georgia. However, it is also likely that they will prefer to avoid crowded areas and rather accommodate in the relatives' house, small guesthouse or individual apartments.

The further challenge for Batumi hotels will be a generally increased competition in the tourist market of the region. According to the hotel representatives, the crisis affected by the pandemic led to the temporary or permanent shutdown of many lodging facilities in the city. Even those hotels that will survive a pandemic period will probably not be able to start operating immediately and at full capacity. This will sharply reduce the number of employees in Batumi service sector.

Additionally, competition will dramatically increase between different types of resorts across the country. According to the government's tourism recovery plan the county's marketing strategy is focused on the promotion of wellness, eco, agricultural and wine tourism, as well as on boosting the popularity of the mountain resorts. Seaside resorts are not mentioned among the so called "Green Zones" – safe locations for the tourists to travel to. This will further undercut competitiveness of Batumi on a regional scale.

This year will undoubtedly leave a mark on the Batumi hospitality sector. However, it is worth noting that while sharp, this crisis is not envisioned by the economists to be long-lasting. We expect the number of visitors to Georgia to go back to its long-term upwards trajectory within a year. As a seasonal location, Batumi may need more time to recover, but we expect the city to enjoy renewed interest by summer 2021.

Cushman and Wakefield Georgia will be monitoring the situation closely and providing updates on the effects of COVID-19 as well as measures taken to curb its spread and its subsequent economic and sectoral impact.

ბოლო წლების განმავლობაში ბათუმის სასტუმროები სულ უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებულნი უცხოელ ვიზიტორებზე და ნაკლებად ცდილობდნენ შიდა ტურისტების მოზიდვას. გამოკითხვიდან ირკვევა, რომ მათ სტუმრებს შორის ქართველების (შიდა ტურისტების) წილი არ აღემატებოდა 9%-ს. საზღვრების გახსნის მიუხედავად, ქვეყნის გარეთ მოგზაურობის მიზიდან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ამჯობინებს ზაფხულის სეზონის საქართველოში გატარებას. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით შიდა მოგზაურების რიცხვი შესაძლებელია მკვეთრად გაიზარდოს, მეტად სავარაუდოა, რომ ვიზიტორებმა თავი აარიდონ დიდ სასტუმროებსა და თავმყერის ადგილებს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ უმეტესი მათგანი არჩევანს გააკეთებს ახლობლის/ნათესავის სახლზე ან მცირე ტიპის საოჯახო სასტუმროსა და ინდივიდუალურ აპარტამენტზე.

დამატებით სირთულეს ბათუმის სასტუმროებისთვის შექმნის ტურისტულ ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია. სასტუმროების წარმომადგენელთა განცხადებით, პანდემიის გამო გამოწვეული კრიზისი განაპირობებს ბევრი განთავსების საშუალების დახურვას დროებით ან ხანგრძლივად, ხოლო ის სასტუმროები, რომლებიც შეძლებენ ოპერირებას, სავარაუდოთ ვერ მოახერხებენ სასტუმროს სრულად ამუშავებასა და დატვირთვას. ეს თავისმხრივ მკვეთრად შეამცირებს მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რიცხვს.

გარდა შიდა ბაზრისა, კონკურენცია მკვეთრად გაიზარდა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის კურორტებს შორის. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, ქვეყნის ტურისტული მარკეტინგის სტრატეგია მიმართულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი, ეკო, აგრო და დაცული ტერიტორიების ტურიზმის, ასევე ღვინის ტურიზმისა და მთის კურორტების პოპულარიზაციისაკენ. ე.წ. „მწვანე ზონებად“ გამოკვეთილ ლოკაციებს შორის, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს ტურისტებისთვის უსაფრთხო ადგილებად, ვერ ხვდება საზღვაო კურორტები, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად ამცირებს ბათუმისა და სხვა საზღვაო კურორტების კონკურენტუნარიანობას ქვეყნის ტურისტულ ბაზარზე.

უდააო, რომ მიმდინარე წელი რადიკალურ გავლენს მოახდენს სექტორის სიცოცხლისუნარიანობაზე და ბათუმის სასტუმროების ოპერირების შესაძლებლობებზე. შიდა ტურისტებისთვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება და შემცირებული საფასე პოლიტიკა, შესაძლებელია, გახდეს ბათუმის განთავსების საშუალებების ერთადერთი გადარჩენის გზა.

ჩვენი გუნდი განაგრძობს უძრავი ქონების სხვადასხვა სექტორში მიმდინარე პროცესების შესწავლას, უახლოეს მომავალში დაგიბრუნდებით ახალი ინფორმაციებით. იყავით მოვლენების ეპიცენტრში Cushman & Wakefield Georgia-სთან ერთად.

Tekla Iashagashvili, Head | Development Advisory
+995 322 47 48 49
tekla.iashagashvili@cushwake.ge

Gvantsa Potskhveria, PR and Marketing Manager
+995 599 014 444
gvantsa.potskhveria@cushwake.ge